სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თორნიკე ქოჩქიანის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 7.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ქოჩქიანი თორნიკეს შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით.

კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ თორნიკე ქოჩქიანის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ხარისხი, სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება.

კანდიდატი შეკვაფასე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისი

მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოქალაქის – კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის პატიოსნება, შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

თორნიკე ქოჩქიანს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ, პატიოსან, შრომისმოყვარე, თავმდაბალ, კორექტულ, კომპეტენტურ, საქმისადმი ერთგულ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებას.
კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეია და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს არ დაკისრებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელი.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო სამი წლის მანძილზე, კანდიდატის მიმართ შედგენილა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, დაკისრებული სანქცია გადახდილია დროულად.

1. 2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით თორნიკე ქოჩქიანი არის პრინციპული, მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით და შეუვალობით. ყოველგვარი პოლიტიკური და სხვაგვარი მიკერძოებულობის გარეშე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. კანდიდატის შესახებ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია არ იძებნება.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

საქართველოდ გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში თორნიკე ქოჩქიანის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სამეგო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

რესპოდენტების შეფასებით, კანდიდატი არის მშვიდი და გაწონასწორებული თავმდაბალი ადამიანი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა. იგი არის ძალიან კომუნიკაბელური და დადებითი პიროვნება. შეუძლია მშვიდად მოისმინოს სხვისი აზრი და საკუთარი განმარტება გააკეთოს განსახილველი საკითხებზე. კოლეგებს ეპყრობა თავაზიანად და პატივისცემით. იგი არის თავდაჭერილი, კომუნიკაბელური და ეფექტურად მართავს საკუთარ ემოციებს. მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ თორნიკე ქოჩქიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ინფორმაციით, თორნიკე ქოჩქიანის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გაითვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად საკმაოდ სტაბილურია, შეუძლია ნებისყოფის მოკრება და თავდაჭერა. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატი კოლეგებს შორის სარგებლობს პატივისცემით. აქვს მაღალი პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია. არის საკუთარი პრინციპებისა და საქმის ერთგული პიროვნება. გააჩნია მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ თორნიკე ქოჩქიანი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე, აგრეთვე, კანდიდატის მიერ

ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია უნარი და კომპეტენცია, სადავო საკითხზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტოს სამართლის ნორმა. კანდიდატი კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებების სამართალს (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს), გააჩნია სამართლებრივი საკითხების გააზრება. უმეტესად სწორად იყენებს როგორც მატერიალურ ისე საპროცესო კანონმდებლობას, ეცნობა კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები. კანდიდატი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ასევე, იცნობს საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. კანდიდატმა ისაუბრა და გასცა პასუხები სხვადასხვა სისხლის სამართლებრივ შეკითხვებს, საჯარო მოსმენისას კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა თემაზე თუ რამდენად მიიღწევა რესოციალიზაციაცია უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შესახებ; მოსამართლის დამოუკიდებლობის შესახებ და სხვა საინტერესო სამართლებრივ თემებზე.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით 2023 წლის მიღებული ქულა - 77/19. ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მეშვიდე ადგილი. ვინაიდან, კანდიდატი მოსამართლეობის გამოცდილების არმქონეა, მხედველობაში მიიღება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება რომელიც დადებითია.

იუსტიციის სკოლის შეფასება:
სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში - თორნიკე ქოჩქიანს, აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი მსჯელობა. მიუხედავად იმისა რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. ადმინისტრაციული სამართალი - სამომავლოდ, მან უნდა გაუმჯობესოს აკადემიური წერა.

თორნიკე ქოჩქიანი მიღებულ თეორიულ ცოდნას სისხლის სამართლში სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად მისადაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატის შეფასებისას დაკვირდენი სკოლის შეფასებას: თორნიკე ქოჩქიანის მიერ განვითარებული მსჯელობა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ყოველთვის არის სწორი და ნათლად ჩამოყალიბებული. შესწევს მისი პოზიცია დასაბუთებულად და გარკვევით ახსნას, რომელსაც ყოველთვის ახლავს კარგი სამართლებრივი ანალიზი. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მან სრულყოფილად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე.

2.3. წერის უნარის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატი მეტყველებს გამართულად და ლოგიკურად. აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებსა და გარემოებებს. როგორც ზეპირად, ისე წერილობით ნათლად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. მისი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია. მას აქვს დასმული შეკითხვის სწორად აღქმისა და განსხვავებული, აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. გამოკითხული პირები უთითებენ, რომ კანდიდატი წერის პროცესში მსჯელობს ლოგიკურად, წერს გამართულად/გასაგებად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს კომუნიკაციის სათანადო უნარებს. კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების უნაარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ.

2.4.პროფესიული თვისებები

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ და დატვირთულ სამუშაო ვითარებაში პროდუქტიული მუშაობის უნარი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და მი'ზანდასახულობით.

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. თორნიკე ქოჩქიანმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- ✓ 2018 წლის ოქტომბერი, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო;
- ✓ 2019 წლის 29-30 სექტემბერი, დოკუმენტების გამართულად წერა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ 2019 წლის 7-8 დეკემბერი, მართვის უნარები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ 2021 წლის 7 აპრილი, ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ 2022 წლის 30 აპრილი - 01 მაისი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2.6. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თორნიკე ქოჩქიანი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას და არც გამოქვეყნებული აქვს სტატია და ნაშრომი, თუმცა ცდილობს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროფესიული წრთვნის პროგრამებში.

<u>კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:</u>

თორნიკე ქოჩქიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **88** ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის **(100 ქულა) 88%** შეადგენს.

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

7.07.2025 წელი